საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of Chief Prosecutor of Georgia

KA011351863438116

№ 13/12537 **29 / თებერვალი / 2016 წ.** ქ.თბილისი

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი"-ს
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქუჩა N3

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს დირექტორის გიორგი კლდიაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა 2016 წლის 05 იანვარს მომართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

1. რამდენი განცხადება/საჩავარი შემოვიდა საქართველოს პროკურატურაში 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

2.რა შედეგებით დასრულდა/რა მსვლელობა მიეცა აღნიშნულ განცხადებებს/საჩივრებს, მათ შორის: რამდენ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო; რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება; რამდენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; რამდენ შემთხვევაში დასრულდა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება სხვა მიზეზით; რამდენ შემთხვევაზე მიმდინარეობს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება;

3.რამდენი განცხადება/საჩივარი შემოვიდა საქართველოს პროკურატურაში 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით, რომელთაც მოქალაქეები საჯარო მოხელეთა მხრიდან მათი ან მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მიუთითებდნენ და ითხოვდნენ ფაქტებზე გამოძიების დაწყებას;

4.აღნიშნული განცხადებებიდან/საჩივრებიდან რამდენი შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს და რამდენი უკავშირდებოდა ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შემთხვევებს;

5. რა შედეგით დასრულდა/რა მსვლელობა მიეცა ამ წერილის მესამე პუნქტში მითითებულ განცხადებებს/საჩივრებს, მათ შორის: რამდენ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ საქმის არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო; რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება; რამდენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; რამდენ შემთხვევაში დასრულდა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება სხვა მიზეზით; რამდენ შემთხვევაზე მიმდინარეობს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება.

2016 წლის 29 იანვარს საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარმოდგენილ იქნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს დირექტორის გიორგი კლდიაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც საჩივრის ავტორი ითხოვს საქართველოს მთავარი პროკურატურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს მიაწოდოს 2016 წლის 05 იანვრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, განვიხილე რა, 2016 წლის 29 იანვრის ადმინისტრაციული საჩივარი მიმაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და საჩივრის ავტორს მიეწოდოს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ:

2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2015 წლის 01 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში შემოვიდა 52.530 საჩივარ-განცხადება (მათ, შორის 10.379 გამოძიების დაწყების მოთხოვნით). აქედან, 697 შეეხებოდა ქონების უკანონოდ ჩამორთმევას, 3495 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულებს, 6187 სხვა კატეგორიას.

2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2015 წლის 04 მარტამდე, 2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშაულებისათვის სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო 367 საჯარო მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის მიმართ.

გამოტანილ იქნა - 147 გამამტყუნებელი განაჩენი, 29 - გამამართლებელი განაჩენი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განერიდა -13.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში წარდგენილია (დეპარტამენტი შეიქმნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის N62 ბრძანებით):

4198 განცხადება/საჩივარი, საიდანაც განხილულ საჩივარ-განცხადებათაგან 581 განცხადება/საჩივარი ეხება ქონების იძულებით დათმობის და ჩამორთმევის ფაქტებს, ხოლო 290 განცხადება/საჩივარი ეხება ცემა-წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს. დეპარტამენტში შემოსულ განცხადება-საჩივრების მნიშვნელოვან ნაწილზე მოხდენილია რეაგირება, კერძოდ, ნაწილ მათგანზე დაიწყო გამოძიება, ნაწილი დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, ნაწილი გადაიგზავნა ქვემდებარეობის მიხედვით, ხოლო ნაწილს გაეცა პასუხი;

დეპარტამენტში გამოძიება მიმდინარეობს 285 სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც ეხება ქონების იძულებით დათმობის/ჩამორთმევის და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს;

დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 4 პირის მიმართ (სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით), 15 პირის მიმართ გამოყენებული იქნა დისკრეცია და განრიდება, ხოლო 2 პირის მიმართ შეწყდა გამოძიება გარდაცვალების გამო. დეპარტამენტის მიერ გახსნილი ზემოაღნიშნული ქონების იძულებით ჩამორთმევის დანაშაულებრივი ფაქტების შედეგად, დაზარალებულად იქნა ცნობილი 34 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დაუბრუნდათ 39 ა/მანქანა, 2 მიწის ნაკვეთი და ოქროს ნაკეთობები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 2 407 000 ლარს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან და უშუალოდ პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებიდან 2013-2015 წლებში შესულია 1204 საჩივარ-განცხადება.

2015 წელს სახალხო დამცველის მომართვების საფუძველზე გამოძიება დაიწყო 36 სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 27 სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 144^3 მუხლით გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სსკ-ის 116-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 1 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის.

ეს აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6), ადმინისტრაციული საჩივრის ავტორისათვის მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე

გიორგი გოგაძე